№ 103 მაისი 18, კვირა 1891 მაისი 18, კვირა № 103


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და ყველა განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჯუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანჯოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877--1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


გაზეთი „ივერია" პირველ მაისიდან წლის დამლევამდე ღირს 7 მანათი და 25 კაპ.

---

# ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---


მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულს საზოგადოებას, რომ

დამზღვეველ საზოგადოების

„მოსკვა"-ს

სააგენტო ახალ-სენაკში გაუქმებულია და მამულების დაზღვევა „მოსკვა"-ს დამზღვეველს საზოგადოებაში სენაკისა და ზუგდიდის მაზრებიდგან გადატანილია „მოსკვა"-ს საზოგადოების ფოთის სააგენტოში, ვაუწყებ რა ამას „მოსკვა"-ს სააგენტოსა ბბ-ნთ დამზღვეველთ და აგრეთვე იმათ, რომელნიც ისურვებენ ამ საზოგადოებაში მამულის დაზღვევას, ვთხოვ, მიჰმართონ პირდა-პირ „მოსკვა"-ს დამზღვეველ საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ქალაქ ფოთში ჩემს სავაჭრო სახლში „დე-სუნდეციჩისა და ამხ."-ის ფირმით.

ფოთელი აგენტი „მოსკვა"-ს დამზღვეველ საზოგადოებისა

(3—3) გ. დე—სუნდეციჩი


---


ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო, ბანკისა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, თანახმად ბანკის წესდების მე 79 §-სა, წლიური მორიგი საზოგადო კრება ბ. ბ. ხსენებულის ბანკის წევრთა არის დანიშნული ქ. ქუთაისს, ბანკის გამგეობის სადგომში ოცდაერთს ამა მაისისათვის, დილით თერთმეტს საათზედ.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები არის:

ა) განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშის გასულის 1890 წლისა.

ბ) განხილვა და დამტკიცება ბანკის ხარჯთ-აღრიცხვისა მდგომარის წლისამებრ

გ) განაწილება იმ თანხისა, რომელიცა წმინდა მოგებიდან გადადებულია საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

დ) შეცვლა და დამტკიცება ზოგიერთთ ბანკის წესდების §§.

ე) მოხსენება ბანკის საქმეთა მართვაზე.

ვ) ზედამხედველი კომიტეტის დასკვნა 3 ივლისის გასულის 1890 წლისა ბანკის გამგეობის თავმჯდომარის კოლლისტრატე ნიკოლოზის ძე ჩიქვაიძის პასუხის გებაზე სამსახურისამებრ დამნაშაობის გამო, რომელიცა დაჰრჩა დაუხილველად ბანკის წევრთა მოულოდნელის კრების მიერ 30 ოქტომბერს იმავე 1890 წლისა

ზ) ამორჩევა რიგით გამომსვლელთ მაგიერ: ბანკის გამგეობის ერთის წევრისა, გამგეობის წევრის მოადგილესი და ორთა წევრთა ზედამხედველის ომიტეტისა.

(6—5)


---


ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრება შესდგება ორშაბათს, ოცს ამა მაისსა, ცხრა საათზედ, დილით, ტფილისის კრების სადგურის დარბაზში, თავად მუხრანბატონის სახლებში.

ამაზედ აღმასრულებელი ტფილისის გუბერნიის წინამძღომლის თანამდებობისა აუწყებს თავად-აზნაურობას გუბერნიისას.

(3—2)


## ახალი ამბავი

*** ქართველ დრამატიულ საზოგადოების მმართველობას, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, გადაწყვეტილი აქვს იყოლიოს თავისი დრამატიული დასი მომავალს ზამთარს. ეხლა, როგორც შევიტყვეთ, მმართველობა ადგენს ახალ პიესების რეპერტუარს, რომელშიაც სხვათა შორის მოთავსებულა შემდეგი პიესები, ჯერ არსად არ ნათამაშევი:

„საზოგადო საქმე", კომედია ოთხ მოქმედებად თ. დ. გ. ერისთავისა, შარშან დაწერილი. ამ პიესაში გამოყვანილია ჩვენი თავად-აზნაურობის და ბანკების ყრილობა.

„ქვეყნის მოშორებით", კომედია ოთხ მოქმედებად ბ-ნ ბჟანაშვილისა.

„ლუარსაბ აფაქიძე", დრამა ხუთ მოქმედებად ვ. ხაინდრავასი.

„ვაი ვახტიას!" დრამა ხუთ მოქმედებად მისივე.

ამას გარდა რეპერტუარში მოთავსებულია რამდენიმე ახლად ნათარგმნი დრამა და ვოდევილი, რომელთ სია გამოცხადებული იქნება ენკენისთვეში, წარმოდგენების დაწყების წინად.

*** ამ ახლო ხანში ტფილისის საბალოსნო სკოლაში დაიწყებენ ლექციების კითხვას სოფლის მასწავლებელთათვის.

*** ქუთაისი: როგორც ჩვენის თავად-აზნაურობის ანგარიშში იყო მოხსენებული, თავ. ს. გუგუნავას და თავ. დ. მაჭუტაძეს, რომლებმაც კენჭი ჩამოიტარეს ოზურგეთის მაზრის სამარშლოდ, თანაბრად ამოუვიდათ თეთრი და შავი. ამიტომ იმ დღეს არავინ იცოდა, ნამდვილად ამათგან რომელს არგუნებდა ბედი გურიის მარშლობას. დღეს, 16-ს მაისისას, კანონისამებრ, დეპუტატთა საკრებულოში ორსავე კანდიდატს წილი უყარეს და მარშლობა წილად ჰხვდა თავ. დ. მაჭუტაძეს. ამბობენ, თავ. ს. გუგუნავა წილის ყრას თანახმა არ არის და საჩივარს აპირებს, რადგანაც, იმისის აზრით, უპირატესობა მასვე ეკუთვნის, ვითარცა მარშლად უკვე ნამყოფსაო.

*** ს. მჭადის ჯვარი (დუშეთის მაზრა): ამ თვეის თექვსმეტს აქ, როგორც გავიგეთ, ვიღაც კაცი მოუკლავთ. მკვლელი, ჯერ არ იციან, ვინ არის. გამოძიება სწარმოებს.

*** საბაშიო: როგორც გვიამბეს, წლეულს რიგიანად ასხია აქ ვენახებსა. თუ ესეთი კარგი დარები დაუჭირა, როგორც ამ უკანასკნელს მასის რიცხვებშია, წლეულს სანაქებო ღვინის მოსავალი იქნება საბაშიოში.

*** ფრონის ხეობა: რთვილმა შიგა და შიგ ვენახები ძლიერ გააფუჭა, აგრეთვე ხეხილი და ბაღეულობაც. მაისის დამდეგს გვალვა იყო და ნათესობას ზარალი მისცა. მაისის ნახევრიდამ წვიმა დაიწყო და იქნება როგორმე ისევ გამოკეთდეს ჰირნახულები.

სადგური ფოილი. ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ ამ ჟამად ბევრი ურიგობაა: ზოგ-ზოგს სადგურსა და ვაგონებში განუწყვეტელი ჩხუბია, ქურდობა და ხანჯალ-ხმლების გრიალი; გუშინ, მაისის 15-ს, საღამოს 10-ს საათზედ, ერთი ვიღაც „ტამოჟნის" მცველი ჩაფარი გაიტანა საქონლის მატარებელმა, № 52, სადგურ ფოილოს ახლო, 363 ვერსზედ. გამოძიება სწარმოებს...

*** სიღნაღი: 14 მაისს ღამით ძლიერი სეტყვა იყო, რომელმაც რამდენისამე სოფლის ვენახები სრულიად გაანადგურა და დიდი ზარალი მისცა მხენელ-მთესველთ („Кавказъ").

*** მაისის 16 სასამართლოს მეორე განყოფილების მსაჯულმა ირიცპესკომ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ამავე განყოფილების კანცელარიიდგან საზამთრო პალტო მოჰპარეს, 10 მაისს ჩემს მდივანსაც მოჰპარეს ასეთივე პალტო.

—

შეცდომის გასწორება: ჩვენის გაზეთის 101 ნომერში, სადაც იყო დაბეჭდილი: „რა სწავლაა ჩვენთვის საჭირო", შეცდომით არის ბოლოში მოხსენებული: „თითო სასწავლებლის მოწყობაზედ დაიხარჯება ათას ხუთასი მანათი". უნდა იყოს ათას ხუთასი თუმანი.

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

(იხ. „ივერია" №№ 101 და 102)

მ. მაჩაბელი. რაკი დამტკიცდა ანგარიში, საჭირო წლიურ ანგარიშის შედგენის გამო ვილაპარაკო, რომ შემდეგში მაინც ვიხელმძღვანელოთ იმ შენიშვნებით, რომელიც მე მაქვს მოსახსენებელი. ჩემის აზრით, ასეთი წესი ანგარიშის შედგენისა მოსაწონი არ არის.

ა. მესხელაშვილი. თქვენ ანგარიშის ფორმის გამო გსურთ ლაპარაკი, თუ კიდევ სხვა რასმეზე?

მ. მაჩაბელი. დიაღ, ანგარიშის შედგენის გამო. ბანკის მოხსენებაში ნათქვამია, რომ 1890 წელს ბანკის ოპერაციას 466,500 მანეთით უკლია, შარშან 1.340,200 მან. სესხი გაუცია და შარშან-წინ-კი 1.806,700 მან. მმართველობა ამ გარემოებას ამიზეზებს ფულის გამრავლებასა და სესხის გაიაფებას, რომლის გამო ვითომც ნელ ნელა შემცირებულა ჩვენის ბანკის ოპერაციები. მე მსურს შევიტყო, მხოლოდ ეს გარემოებაა მარტო ოპერაციების შემცირების მიზეზი, თუ იქნება ამას გარდა სხვა ადგილობრივმა გარემოებამაც გამოიწვია ასეთი სამწუხარო ამბავი ჩვენს ბანკში? ამას გარდა საყურადღებოა ვიცოდეთ, სხვა აქაური ბანკებიც ამ მდგომარეობაში არიან, თუ მარტო ჩვენს ბანკს დაატყდა თავზე ეგ უბედურობა? თუ საზოგადოდ ფულის გამრავლებაა მიზეზი, მაშინ სხვა ბანკებსაც იგივე უნდა მოსვლოდათ ჩვენს ქალაქში, რაც ჩვენს ბანკს მოუვიდა. ამ გარემოების შეტყობა ძალიან საჭიროა, თუ გვინდა ჩვენის ბანკის მდგომარეობის გამორკვევა. თუ სხვა ბანკების ოპერაციამ იმატა, რატომ ჩვენს ბანკსაც ასევე არ მოუვიდა? თუ სხვა ბანკში აგირავებდნენ ბევრს მამულს, რატომ ჩვენშიაც არ დააგირავეს? მე ნამდვილად ვიცი, რომ 1888, 1889 და 1890 წლებში ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ოპერაციებმა იმატა და არ იკლო-კი ჩვენის ბანკის ოპერაციებსავით. თუ იქ მეტის სესხის გაცემა შეიძლეს, აქ რაღა მოუვიდათ?..

ილ. ჭავჭავაძე. ხომ თანახმანი ხართ, რომ თავისუფალი ფული ბევრია ამ ჟამად ბირჟაზედ.

მ მაჩაბელი. არ ვიცი.

ილ. ჭავჭავაძე. თუ არ იცით, რაღა გელაპარაკებთ! (საერთო სიცილია).

მ. მაჩაბელი. მოვალე თქვენა ხართ, თქვენ უნდა იცოდეთ.

ილ. ჭავჭავაძე ნუ თუ ეგ უბრალო ეკონომიური კანონი არ გესმით? როდესაც ფული ბევრია ბირჟაზე, მაშინ მისი სარგებელიც იაფდება, და როცა ფული კლებულობს, სარგებელიც მატულობს. ეს ძირითადი კანონია ეკონომიურის ვითარებისა. უნდა გახსოვდეთ ენგელგარდის გადასხვაფერებული აფორიზმი: როცა ფული ბევრია, სესხის ამღები ცოტაა, როცა ცოტაა ფული, სესხის ამღები ბევრია.

მ. მაჩაბელი. დიაღ, ეგ მართალია, მაგრამ სხვა ალაგას და არა ჩვენში.

ილ. ჭავჭავაძე. ეს როგორც სხვაგან არის მართალი, ისეც ჩვენშია.

მ. მაჩაბელი. არა, ჩვენში მართალი არ არის.

კრების სხვა-და-სხვა ადგილიდგან მოისმის: ჩუმად!.. ჩუ!.. სსუ!..

ილ. ჭავჭავაძე. გთხოვთ, ლაპარაკს ნუ მიშლით.

ი. ს. ჭავჭავაძე (თავმჯდ.). დააცადეთ ლაპარაკი.

ილია ჭავჭავაძე. არ მესმის, რა დიდი საფინანსო მოსაზრება უნდა, რომ ადამიანი დარწმუნდეს ბირჟაზედ ფული ბევრიაო, მეტადრე მას შემდეგ, რაც სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდების კონვერსია ასე საუცხოოდ დაბოლოვდა! როცა ხელი მიჰყო ფინანსთა სამინისტრომ კონვერსიას, საქმის რიგიანად წარმართვის იმედი არა ჰქონდა და ამიტომ შეღავათი მისცა თავის ფასიან ქაღალდების მყიდველებს, 100 მანათიანს ქაღალდის 95 მანათად მიცემას შეჰპირდა. გამოცდილებამ-კი

დაგვიმტკიცა, რომ ბირჟა ავსებით სავსე იყო თავისუფალის ფულითა, რომელიც დასაბინავებელს ადგილს ცძებდა, და კონვერსიამ საუცხოვოდ ჩაიარა. და რადგანაც, რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს ბირჟა, მაინც რჩება რამდენიმე ნაწილი კრედიტის საჭიროებისა,—იმიტომ რომ არ იქნება დრო, რომ ეს საჭიროება არ იყოს, და აქ მხოლოდ ამ საჭიროების მეტნაკლებობაზეა ლაპარაკი,—რასაკვირველია, რომ ამ შემოკლებულმა ნაწილმა კრედიტის საჭიროებისამ იქით გაიწია, სადაც კრედიტი უფრო იაფია. ფულის სიმრავლე სესხის გაიაფებაა და ყველა იმასა სცდილობს, რომ იქ მიატანოს, სადაც უფრო იაფად იშოვნის ფულს. ჩვენი „ფინანსისტები“ თავს იყრიან ერთად, თათბირობენ, ჩურჩულებენ და ბანკის წევრებს გულს უხეთქავენ, მხოლოდ იმიტომ-რომ ჩვენმა მსესხებლებმა არითმეტიკა იციან და იაფს სესხს ეტანებიან, საკრედიტო საზოგადოებაში გადადიან.

აქ ბ-ნმა ილ. ჭავჭავაძემ განმარტა თავისუფალ ფულის გამრავლებას რა რიგად მოსდევს სიაფე კრედიტისა და ეს სიაფე კრედიტისა რა რიგად გამოირკვა დღეს ბირჟაზედ, რომ ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციებმა 85%-დგან უეცრად 98%—99% მდე იმატა და სადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები 102—103% ავიდაო, და სხვათა შორის დასძინა, თუ რა ზედმოქმედება ჰქონდა ქაღალდების აწევ-დაწევაზედ სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდების კონვერსიას. შემდეგ სთქვა, რომ რაკი აქაურ საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციები 98% ავიდა, იმათი სესხი ჩვენზედ ბევრით გაიაფდა, თუმცა ჩვენმა გირავნობის ფურცლებმაც ფასში აიწია და 102% გახდა. რადგანაც ყოველ ეკონომიურ მოძრაობის ბუნებური თვისება ის არის, რომ კაცს იქით მიზიდავს, სადაც მეტი გამორჩომაა, რასაკვირველია, სესხის ამღებმა საკრედიტო საზოგადოებისაკენ გაიწია. აი მიზეზი, რომ მსესხებელი ჩვენგან იქ გადადის. სჯობს პირდაპირ ლაპარაკი, ლობე-ყორეს მოდებას. სჯობს პირდაპირვე ვსთქვათ, რომ ჩემი საფინანსო პოლიტიკა არ მოსწონთ და რა ბრალსა მდებენ. მე ნება მაქვს ვილაპარაკო ამ საგანზედ, იმიტომ-რომ, რასაც მაბრალებენ, თქმული იყო იქ, სადაც ას-კაცამდე დაესწრო, მაშასადამე საჯაროდ თქმულია, და რაც საჯაროდ თქმულია, საჯაროდ განსაკითხავიც არის. ამბობენ, ვითომ ეს გარემოება ჩემის საფინანსო პოლიტიკის დამღუპველი შედეგი იყო. ამ პოლიტიკას, გუშინდელ დღიდგან-კი არა, ბანკის დაარსებიდგან ვადგევარ. და ამ დროს განმავლობაში თქვენც მოწმენი იყავით, როგორ ჰმატულობდა ბანკის მიმართ ნდობა და როგორ იწევდა ფასის მხრივ ჩვენი გირავნობის ფურცელი. შარშან სესხი ცოტაა გაცემულიო. რა ვქნათ მერე, თუ ამ უკანასკნელს ორს წელს ოპერაციი ცოტა შემცირდა, მოვა დრო, როცა ისევ იმატებს. ამ გვარი აწევ-დაწევა ოპერაციებისა ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ბანკისა,

აქ ილ. ჭავჭავაძემ ციფრები წარმოადგინა იმის დასამტკიცებლად, თუ ამ ცხრა წლის განმავლობაში რა რიგად კლებულობდა და ჰმატულობდა ხოლმე სესხის გაცემა ჩვენს ბანკში. გარდა ამისა, დაასახელა ამ გვარივე მაგალითები სახელმწიფო ბანკისა და აგრეთვე მოსკოვისა, ნიჟეგოროდისა და სხვა ბანკებისა, და სთქვა:

ამ ცნობებიდგან ცხადად სჩანს, რომ სესხის გატანა ძალ-დატანებით მოუხერხებელია, ჩვენ-კი არ უნდა ვეძებდეთ მსესხებლებს, ისინი უნდა მოდიოდნენ საჭიროებისამებრ. სესხის თხოვნა და მიცემა საზოგადო ეკონომიურს კანონს ექვემდებარება. აქ ჩვენი მეცადინეობა და არ-მეცადინეობა არაფერს შუაშია. ერთს წელიწადს, რომ ბანკს მცირე ოპერაცია აქვს, მეორე წელიწადს დიდი ოპერაცია მოჰყვება ხოლმე. მაგრამ ამ გარემოებას რომ ჩავეჭიდოთ ხელი და ვთქვათ, ბანკი საშიშს მდგომარეობაშია, უნდა დაიღუპოსო, ასეთი მსჯელობა სწორედ ბ-ნ მიხ. მაჩაბლისთანა ფინანსტების შესაფერია. დიაღ, 1881 წლიდგან ამ 1891 წლამდე სესხს ბევრჯელ უკლია და უმატნია, მაგრამ განგაში არავის დაუკრავს, ყვირილი არავის დაუწყია, რომ ბანკი იღუპებაო. ამ საანგარიშო წელს ჩვენის ბანკის ასე ძვირი სესხი 1.340,200 მან. გავეცით და უეცრად დაიწყეს ჩემი ბრალდება. ამბობენ, რომ იმის საფინანსო პოლიტიკა ძირს უთხრის ბანკსაო. ვიმეორებ, რადგან ეს ბრალდება კრებებზედაც-კი გაისმის, სადაც ასამდე კაცი ესწრება, ამიტომ გამოვარკვევ საზოგადო კრების წინაშე, აქვს რამე საბუთი, თუ არა. .

მ. მაჩაბელი. ბატონო, ეგ რა პასუხია ჩემის საკითხისა? მე გთხოვეთ, მაცნობეთ-მეთქი რამდენი სესხი გაცა უკანასკნელს წლებში საკრედიტო საზოგადოებამ. მაგ ლაპარაკიდგან რომ არა გამოდის-რა.

ილ. ჭავჭავაძე. გთხოვთ, სიტყვას ნუ მაწყვეტინებთ. კარგად ვიცი, გათენებამდისაც რომ ვილაპარაკო თქვენთან, მართლაც არა გამოვა-რა, მაგრამ აქ, თქვენ კი არა, საზოგადო კრებას ველაპარაკები და იქნება აქედგან გამოვიდეს კიდეც რამე.

მ. მაჩაბელი. ჭორებზედ ლაპარაკი რა საკადრისია.

საზოგადოება. დააცადეთ ლაპარაკი, ჩუმად!.. სსუუ!..

ილია ჭავჭავაძე. აქ მიდებ-მოდება საჭირო არ არის. თქვენ ბრალსა მდებთ, რომ მინისტრი არა ვნახე, არ წარუდგინე ივ. მაჩაბელის „დოკლადნოი ზაპისკა“; რომ მფლობელობის მოწმობასა და მედიატორების გადაწყვეტილებას საკუთრების მკვიდრ საბუთად არა ვხედავ და მესამედ იმას, რომ ბანკში ისე ხშირად აღარ დადის წევრი ჩვენის გამგეობისა, როგორც უწინ. ეს სამივე ბრალი გავსინჯოთ. რატომ ფინანსთა მინისტრი არა ნახე, როცა ტფილისში იყოვო, და არ წარუდგინე ბ-ნ ივ. მაჩაბლის მიერ შედგენილი ქაღალდი ჩვენის ბანკის სესხის გაიაფების შესახებაო. ნეტა ის მოხსენება აქ იქმნას წაკითხული...

მ. მაჩაბელი. იქმნება კიდეც წაკითხული.

ილ. ჭავჭავაძე. ძალიან კეთილი. ხომ ხედავთ, როგორ მიეხედები ხოლმე თქვენს გულის პასუხს (საერთო სიცილი). ვსთქვათ, ის მოხსენება საუცხოოდ არის შედგენილი. რა გამოვიდოდა, რომ მენახა კიდეც მინისტრი? განა წინათვე დასანახი არ არის, რას მეტყოდა მინისტრი, განა არ იცით ამ შემთხვევაში რას ეუბნებიან ხოლმე,—ბატონი ხარ, წადი პეტერბურგს, გავსინჯავ მაგ საქმეს და რაც შეიძლება, გაგიკეთებთო. განა აქედგან შესაძლებელი არ არის, ისევ ის გამოსულიყო, რაც დღეს არის, ე. ი. დღევანდლამდე არ გადაწყვეტილიყო ჩვენი საქმე. მ. მაჩაბელმა იცის, რომ ბ-ნმა იზმაილოვმა ჰნახა მინისტრი, სთხოვა ქალაქზედ რაღაც უსამართლოდ დადებული ხაზინის ვალი გაგვიუქმეთო, მინისტრი დაჰპირდა დახმარებას, უთხრა, წინააღმდეგი არა ვარ მაგისო, და ამას წინად-კი პეტერბურგიდგან უარი მოუვიდა ქალაქს. მართალია, თუ არა, ბ-ნო მ. მაჩაბელო?

მ. მაჩაბელი. მაგისთანა არა მომხდარა-რა.

ილ. ჭავჭავაძე. ამას თქვენ ამბობთ და გაზეთებში-კი იყო ეს ამბავი. მაგრამ კარგი, ჩვენცა ვსთქვათ, რომ ამისთანა არა მომხდარა-რაო. აქა ბრძანდება თავად-აზნაურობის წინამძღოლად ნამყოფი, ბ-ნი დ. ყუმბათაშვილი, რომელიც მინისტრ ოსტროვსკისთან მივიდა, რამდენიმე თხოვნა მისცა ჩვენის ქვეყნის საზოგადო საჭიროების თაობაზე, მაგრამ გამოვიდა რამ ამ თხოვნიდგან, აბა გვიპასუხოს. ესეც არაფერი. ბათუმის საზოგადოებამ მინისტრსა სთხოვა, ნება მიეცით ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს აქედგანაც დაიგირაოს მამულებიო. მინისტრი დაჰპირდა, მიეცემ ნებას, თუ გამგეობა ამაზედ თხოვნას წარმოადგენსო. ეს 8 დეკემბერს მოხდა. ორის კვირის შემდეგ ჩვენ თხოვნა გავგზავნეთ ამის შესახებ და აქამდის პასუხი არ მოსულიათ ბათუმელებს. მაგრამ კარგი, ვსთქვათ მე არ ვიყავ, მერე ჩემს მეტი გამგეობაში არავინ იყო?.. მე ესეც ვიცი, რომ ივ. მაჩაბელი ყოფილა მინისტრთან.

საზოგადოებიდგან მოისმის: ყოფილა, მაგრამ არ მიუღიათ.

ილ. ჭავჭავაძე. რა მოგახსენოთ, ეგ თქვენ უკეთ გეცოდინებათ მე ყოველ ამას იმიტომ ვამბობ, რომ მენახა მინისტრი და ეს საქმე გათავებული ყოფილიყო დღეს, მაინც ვერ ვიტყოდი, რომ ჩემმა მისვლამა ჰქნა, და რომ არ გათავებულა დღემდე, ვერც ამას ვიტყვი, რომ ჩემმა მიუსვლელობამ მოახდინა ეს.

ივ. მაჩაბელი. არა, ბატონებო, ეგ ეგრე არ იყო. გამგეობაში გადავწყვიტეთ, რომ ფინანსთა მინისტრისთვის უნდა მოგვეხსენებინა ჩვენის ბანკის საჭიროება. მე შევადგინე მოხსენება. ვსთქვათ, ვერ იყო რიგიანად შედგენილი. მე რაც შემეძლო, ის დავსწერე. თუ გამგეობის თავ-მჯდომარეს არ მოეწონა ეს ჩემი მოხსენების ქაღალდი, რა უშლიდა შეესწორებინა. როდესაც ჩამოვიდა მინისტრი, მაშინ თავმჯდომარე აქ არ იყო. დეპეშა მე გავუგზავნე, რომ მობძანებულიყო. არ ვიცი, მიუვიდა თუ არა ჩემი დეპეშა, პასუხი-კი არ მომსვლია. მე არ შემეძლო მის მაგიერობა მეტვირთნა, რადგან დავალებული არა მქონდა. მადლობა ღმერთს, რომ არ ვიკისრე, თორემ შეიძლება დღეს თქვენს წინაშე ლაფიც დამესხმო და მეტიჩრობისათვის. მე არ მსურდა სრულებით მინისტრს გამოვცხადებოდი, მაგრამ ეს ჩემის ამხანაგის თ. თარხნიშვილის ბრალია, რომელიც შემიჩნდა და არ მომეშვა: უსათუოდ უნდა მიხვიდეო. ერთი ვინმე ჩვენგანი უნდა გამოეცხადოს მაინც, ამას ზრდილობა მოითხოვსო. მეც ავდექი და გამოვეცხადე. მინისტრი არ მინახავს, მხოლოდ იქ დავაგდე ცნობა, რომ როგორც ბანკის წარმომადგენელი გამოვეცხადე-მეთქი. მე მხოლოდ ავასრულე ის მოვალეობა, რომელიც თ. თარხნიშვილმა მირჩია.

ილ. ჭავჭავაძე. ვსთქვათ, ჩემის მისვლით გამეკეთებინა ეს საქმე და ქაღალდის გამოცემის ნება-რთვა მიმეღო, რა გგონიათ, ბ-ნო ფინანსისტებო, შევიძლებდით-კი კონვერსიის ეხლავ დაწყებას?.. ცხრა მილიონი სესხი გვაქვს გაცემული. კონვერსიის დროს ეს ცხრა მილიონის 6% გირავნობის ფურცელი უნდა დაგვეხსნა და შეგვეტანა ახალი 5% ფურცლები ამდენივე, აშკარაა, რომ ყიდვის დროს 6% ფურცლის ფასი დარქმეულს ფასს ზევით აიწევდა, გაყიდვის დროს 5% ძალიან დაიწევდა, იმიტომ რომ 5% ცხრა მილიონის ქაღალდის განაღდება ერთბაშად, თუ ცოტ-ცოტა არ შევიდა ბირჟაზედ, ძალიან გააიაფებდა ამ ქაღალდს და 6%-ს გააძვირებდა. ორივე შემთხვევაში ზარალი იყო. განა ეგრე ადვილი იყო ამ საქმის გაკეთება. ჩვენი „ფინანსისტები“ იტყვიან, რომ ძალიან ადვილი იყოო. ვსთქვათ, ადვილი იყო. მერე სურვილს-კი მივაღწევდით, ესე იგი მსესხებლებს გზას შევუკრავდით, რომ საკრედიტო საზოგადოებაში აღარ გადასულიყვნენ. ვერა, ვერ შევუკრავდით, რადგან ჩვენი 5% გირავნობის ფურცელი ეგრე ერთბაშად ბირჟაზედ მისვლის გამო შესაძლებელია 80 მანათი ღირებულიყო, იმითი ობლიგაცია კი—98 მანათი ჰღირს. დიდად დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ დიდის სიფრთხილით და ისიც ოთხის წლის განმავლობაში თუ შეიძლება ამ კონვერსიის დამთავრება. აი მაგალითებრ სხვა საადგილ-მამულო ბანკები, რომელნიც ეხლა შეუდგნენ კონვერსიას, ისინიც ვერა ჰბედავენ, რომ 6% გირავნობის ფურცელი ერთბაშად გამოიხსნან და 5% შეიტანონ. რუსეთის საადგილ-მამულო ბანკებს თითქმის 400—500 მილიონამდე 6% ქაღალდი აქვთ გაცემული. ამ აუარებელ ქაღალდებისაგან გაბედეს მარტო 75 მილიონის კონვერსია, ისიც ბანკირების სინდიკატისა და მთავრობის დახმარებით. აქედგან აშკარაა, რომ იქ კონვერსიის მოხერხების იმედი ოთხ ხუთ წელიწადზედ ადრე არა აქვთ. დავდგეთ თუნდ მაგ 75 მილიონზედ. აი გაზეთების ცნობა (აქ ილ. ჭავჭავაძემ ამოიღო დაბეჭდილი ცნობები), რომ 75 მილიონის კონვერსიაც გასძნელებიათ. ხარკოვის საადგილ-მამულო ბანკს უთქვამს კიდეც, რომ ქალაქის მამულების სესხის კონვერსია არ შეგვიძლიანო, და უარი გამოუცხადებია ყოველს ქალაქის მამულის ბანკში დამგირავებელთათვის. ამ 75 მილიონს 6% გირავნობის ფურცლების კონვერსიას, ესე იგი მეოთხედს თუ მეხუთედს ნაწილს საერთოდ ყველა ფურცლებისას, ისე აუწეწია ეს საქმე, რომ დღეს სამინისტროს ხელახლად მოუწვევია სინდიკატი, როგორ მოხერხდეს ეს საქმე, რადგანაც აუარებელი მთხოვნელი კონვერსიისა გამოჩნდა ბანკიდგან სესხის ამღებელთა შორისო. აქედგან განა არა სჩანს, რა სიძნელის საქმეა ეს კონვერსია; განა აქედგან არა სჩანს, რომ ეგრე ადვილად მაგაზედ ლაპარაკი შეუძლებელია; აქ განა აჩქარება უნდა და არა მოცდა და მთელს მანძილზედ თვალის გადაწვდენა?

კონვერსიას რუსეთის საადგილ-მამულო ბანკები შეუდგნენ მხოლოდ მაშინ, როცა დაინახეს, რომ სახელმწიფო ქაღალდების კონვერსიამ კარგად ჩაიარა, და ეს სულ-კი რამდენისამე თვეის ამბავია. ჩვენ ეხლა ბედნიერნი იმითი ვართ სხვაზედ, რომ რუსეთის ბანკები შესდგომიან მაგას და იმათი გამოცდილება, იმათი გზა ჩვენთვის ჰკუა იქნება. ეგ გზა და ცდა იქნება რუსეთის ბანკებს ძვირად დაუჯდეს და ჩვენ-კი უხარჯოდ, უდავიდარაბოდ გამოვიყენებთ იმათის გამოცდილების ნაყოფს. თუნდ დღესაც ხელთა გვქონდეს ეგ 5% გირავნობის ფურცლები, მაინც გირჩევდით მოუცადეთ რა ღონისძიებას იხმარებენ და როგორ გაივლიან მაგ კონვერსიის გზას რუსეთის საადგილ-მამულო ბანკები. ვიმეორებ, აქ ერთის მხრით ცხრა მილიონის 6% ფურცლებია გამოსახსნელი და მეორე მხრით ცხრა მილიონი 5% ფურცელია შესატანი ბირჟაზედ და ამას-კი დიდი სიფრთხილე, დიდი წინ-დახედულობა და დიდს მანძილზედ თვალის გადაწვდენა უნდა, რომ კაცმა ეს რიგიანად და უზარალოდ მოახდინოს.

ამას გარდა, ბრალსა მდებენ, რომ სესხი იმიტომ შემოკლდა ჩვენს ბანკში, ვითომც მფლობელობით მოწმობას (влад. свид.) და მედიატორის გადაწყვეტილებას საკუთრების საკმაო საბუთად არა ვხედავ. ჯერ ეგ ერთი, რომ ეგ საკუთარი ჩემი აზრი-კი არ არის, გამგეობისაა, მაგრამ მაინც საკუთრად მე მიკისრია მაგის პასუხი. ამბობენ, ვითომც საკუთრების საბუთის ქაღალდებს სახელს ვუტეხდე და ამით მსესხებლებს საქმეს ვუჭირებდე, ვაფრთხობდე. ეს ალიაქოთი გამოიწვია ერთმა გამგეობის მიერ დადგენილმა ოქმმა, რომელშიაც მე გამოვაცხადე, რომ მფლობელობითი და მედიატორობით მინიჭებული უფლება საეჭვო საბუთის ქაღალდებია და საკმარისი არ უნდა იყოს მამულის დაგირავებისთვის-მეთქი. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ მთელი რუსეთი სჩივის, აწ არსებული კანონები საკუთრების დასაბუთების შესახებ არ აკმაყოფილებენ საადგილ-მამულო კრედიტის უსაჭიროესს მოთხოვნილებას და სანამ ჰიპოტეური სისტემა მთავრობისაგან მიღებული არ იქმნება, მანამდე საადგილ-მამულო ბანკებს გაძნელებული აქვთ გირავნობის უფლება მკვიდრს საფუძველზედ დაამყარონო. ამაზედ მთელი ლიტერატურაა შემდგარი და ერთს ხმას ვერ იპოვით, რომ ამბობდეს, ასე არ არისო. აქედამ მარტო ერთი დასკვნა შეიძლება გამოიყვანოს ადამიანმა, ფრთხილად მოეპყარით ყოველს საბუთს საკუთრებისასაო. საადგილ-

მამულთ ბანკების წარმომადგენელთა კრებაზედ გამოცხადდა, რომ თვით ეგრედ წოდებული „ზალოგოვი“ მოწმობას შეჰყავს ხოლმე ბანკები შეცდომაში. ერთ ამ კრებაზედ თავმჯდომარემ მოსკოვის სადგილ-მამულო ბანკისამ სთქვა,—და დაბეჭდილიც არის მისი სიტყვა,—ერთ „залоговое“ მოწმობით ჩვენ მივიღეთ 13,000 დესეტ. გირაოდ, ბოლოს-კი აღმოჩნდა, რომ იქ ნახევარიც არ იყო ამისი და დიდი ზარალი ვნახეთო. მეორე მოწმობაში მამული იყო დანიშნული სესხის ამღებელის საკუთრებად და მერე აღმოჩნდა, რომ ნახევარი სხვისა ყოფილიყო, და აქაც დიდი ზარალი ვნახეთო. ამ მაგალითებიდგან რა გამოდის? ისა, რომ ზალოგის მოწმობასაც-კი ფრთხილად გასინჯვა უნდა. გადავიდეთ ეხლა ეგრედ წოდებულ ვლადელნი მოწმობაზედ. რა არის ეს მოწმობა? ვისაც უნდა ეს მოწმობა მიიღოს, მიიყვანს ხოლმე რამდენსამე მოწამეს სასამართლოში იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ათი წელიწადია მამული ამა-და-ამ კაცის ხელშიაო. სასამართლო აძლევს ამის მოწმობას, ეს მოწმობა დიდ ნოტარიუსთან მიდის, იქ რეესტრში ინიშნება და მფლობელობაში შედიან. ამ საბუთების ძალით მამულს ბანკებში, თუ კერძოდ აგირავებენ. განა ეს საკმაო საბუთია მამულის დაგირავებისათვის, განა თქვენ-კი ანდობდით თქვენს საკუთარს ფულს ამისთანა გირაოს.

საზოგადოებიდგან ხმა ისმის. არა, არაო.

ი. ჭავჭავაძე. აი მაგალითები, რომ არ შეიძლება მაგისთანა საბუთს დაენდოს კაცი. ყველამ იცით ეგრედ-წოდებული ზიალოვის საქმე. ზიალოვს სასამართლომ მისცა მოწმობა ათის წლის უდავიდარაბო მფლობელობისა ერთის მამულის შესახებ 1888 წ., ვითომც 1878 წლიდგან ამ 1888 წლამდე იმის უდაო მფლობელობაში ყოფილიყოს, ის მამული-კი მის მიერ ნაყიდია მხოლოდ 1886 წელს, ესე იგი ორის წლით ადრე მოწმობის მიღებამდე. ამ მაგალითის შემდეგ განა დასაჯერია ამისთანა მოწმობანი, რომ ორის წლის ნაყიდ მამულზედ ათის წლის უდაო მფლობელობის მოწმობა მიიღოს. მეორე მაგალითი იმავ ზიალოვის საქმისა: 1888 წ. ზიალოვმა მიიღო ათის წლის მფლობელობაზე მოწმობა იმ მამულზედ, რომელიც 1889 წ. იყიდა. ცხადი არ არის, რომ ამისთანა საბუთები საკმაო საბუთები არ არის. მესამე მაგალითი: ერთი სოფელია ლარსსა და სტეფან-წმიდას შუა—გველეთი. ეს სოფელი მთავრობამ აჰყარა და სოფლის ხალხი სხვა-და-სხვა ადგილს დაასახლა. სამმა თუ ოთხმა კაცმა ტფილისის ოკრუჟნოი სუდს თხოვნა წარუდგინა, რომ ის მამულები სოფლისა ჩვენია, რადგანაც ათი წელიწადი ჩვენს ხელ-შეუხებელს მფლობელობაში არისო. „ოკრუჟნოი სუდმა“ მთავრობისაგანვე აღნიშნულ წესით გამოიძია ეს საქმე, თავისი წევრი გაგზავნა ადგილობრივ და, მთხოვნელთა მოწმების გამოკვლევით-კი არა, ახლო მახლო სოფლებიდგან მოწვეულ მოწმების ჩვენებით დაუმტკიცა მთხოვნელებს, რომ მართლა იმათ ხელში ყოფილა ის მამული ათი წელიწადი, და ამის მოწმობაც მისცა. ეს მოწმობა თავის წესით დანიშნულ იქმნა დიდ ნოტარიუსის რეესტრში, „პრისტავმა“ მფლობელობაშიაც შეიყვანა, ესე იგი ჩაბარა მამული მთხოვნელებს, და ბოლოს რა გამოვიდა: სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ გაიგო ეს, იჩივლა იმავ „ოკრუჟნოი სუდში“ და იმავ სუდის“ გადაწყვეტილებით ის მამულები უკანვე ჩამოართვა. ეხლა იმ პირვანდელ მოწმობით რომ მამული მიგვეღო,—3000 დესეტინაა,—ერთი ათას ხუთას თუმანი მიგვეცა, ფული არ დაგვეკარგებოდა, განა არ გვეტყოდით, სადა გქონდათ ან თვალი, ან გონება, ან ჭკუა, რომ მაგისთანა ქაღალდებს ენდეთ და ეგრე შესცდითო? ნუ თუ ეს საბუთები საკმაო არ არის, რომ კაცმა ეჭვის თვალით უყუროს ხოლმე და კარგად გასინჯოს მაგ გვარ მოწმობით დამტკიცებული საკუთრება? მართო ბრმანი ამბობენ, რომ აქ ზიალოვის საქმე არაფერს შუაშიაო, მართო ბრმანი ვერა ჰხედავენ, რა კავშირია ჩვენს შიშსა და ზიალოვის საქმიდგან ამოჩენილს მაგალითს შუა. რომ ეს ჩვენი აზრი ახალი არ არის, წარმოგიდგენთ ჩვენს გარდაწყვეტილებას, როცა გამგეობაში, ჩემს გარდა, ალ. ჩოლოყაშვილი და ავალიშვილიც იყო. აქაც ესევე აზრია მოყვანილი. თუ მას აქეთ მაგ პროტოკოლმა ზარალი არა გვაჩვენა-რა, არავინ არ დაგვიფრთხო ამ ცხრა წელიწადში, ნუ თუ იმავ აზრის პროტოკოლმა, ამ წლის 19 მარტს დადგენილმა, ამ ორ თთვეში ის შესძლო, რაც ცხრა წელიწადში ვერ შესძლოს წინად? ამბობენ, რომ მაშ რა ქნან იმათ, ვისაც მაგის მეტი საბუთი არა აქვსო, მაშ ისინი უკრედიტოდ უნდა დარჩნენო რა ვუყოთ, ვისაც არა აქვს რით უთავდებოს კრედიტს, იმას საზოგადოდ კრედიტიც არა აქვს ვწუხვართ, რომ ესეა, მაგრამ ერთისა და ორის კაცის წყალობით განა საზოგადო საქმე უნდა შევწიროთ? განა საზოგადო საქმე იმას უნდა ვუმსხვერპლოთ, რომ ორიოდე კაცი უკრედიტოდ დარჩება? თუ ცალკე კაცი თავისს საკუთარ ფულს არ ანდობს მაგისთანა საბუთებს საკუთრებისას, ჩვენ რა ნება გვაქვს, სხვის, საზოგადო ფული ეგრე ადვილად გავიმეტოთ?!

მესამე ბრალი: ბაქოში რად მოსპეთ ხშირი სიარული გამგეობის წევრისაო. შარშანდლამდე მაკ წასვლა მოსვლისა და სხვა ხარჯისათვის თქვენ გადაგვიწყვიტეთ ასი თუმანი. წინად ამისათვის გადადებული იყო ორასი. ნუ თუ კრებას საბუთი არა ჰქონდა, რომ ასე გაანახევრა ეს ხარჯი? რაკი ეს გადაწყვეტილება შესდგა და ორასი ასზედ ჩამოახდუნეს, ჩვენ, გამგეობამ, ასე გავსინჯეთ: ეგრე ხშირად მისვლა-მოსვლა ჩვენის საზოგადო კრების თვალით საჭირო არა ყოფილა, ამიტომ გვითხრეს, წინ-და-წინ რომ ხშირად დადიოდით, ორას თუმანს გაძლევდით, ეხლა ას თუმანს გაძლევთ და მაშასადამე ნუ ივლით ხშირადო. მართლაც ორმა წევრმა გამგეობისამ შარშან საჭიროდ არ დაინახა იქ ხშირად სიარული,—და არც ეხლა ჰხედავს,—და განაჩინეს, რომ წევრი წავიდეს ხოლმე მხოლოდ მაშინ, როცა გამგეობა საჭიროდ დაინახავსო. ამის თანახმა არ ვახდა თ. ივ. მაჩაბელი და რადგანაც გამგეობა უფრომ მეტის ხმით სწყვეტს საქმეს, ამაზედ დავდექით. ან რა საჭიროა სიარული ხშირად ცალკე წევრისა იქ, რაო, განა ამ გზით შესაძლოა მოიზიდოს კაცმა სესხის ამღები? ერთი ესეც კითხოთ, თუნდა შესაძლებელიც იყოს, თავისი ქადაგება როგორ უნდა გამართოს იქ ჩვენმა წევრმა, იქ რა მოედანია ამისათვის. მითამ უნდა მოვახვიოთ კისერზედ სესხი, ძალად ვაკისრებინოთ? ეგ „საკადრისია განა? ჩვენ გაჭირებულს უნდა მოუმართოთ ხელი, თუ მოვა და მოითხოვს, და არა მოხიბლულს. ტყუილად ჰგონიათ რომ ჩვენი ბანკი დუქანი იყოს. არა, აქ მოხიბლვა და მუშტრის შემოტყუება საჭირო არ არის.

გასინჯეთ ეხლა თქვენის სადის თვალით ყოველივე ის ბრალი, რომელსაც მე მწამებენ, გადუფხიკეთ ფერუმარილი და რას დაინახავთ: ივ. მაჩაბელმა დასწერა „დოკლადნოი ზაპისკა“ და ჭავჭავაძემ არ მიიტანა მინისტრთან, მაშასადამე დამნაშავეა, რადგან აქ ივ. მაჩაბლის აზრი არ ასრულდა. ივ. მაჩაბელი ამბობს, „ვლადელნი“ მოწმობით სესხი უნდა გავცეთო, ჭავჭავაძე ამბობს, არა, ეგ საბუთი საკმაო არ არისო და ივ. მაჩაბელს არ ეთანხმება,—დამნაშავე ყოფილა ილ. ჭავჭავაძე, რომ არ ეთანხმება ივ. მაჩაბელს. ივ. მაჩაბელი ამბობს, რომ ბაქოში ხშირი სიარულიაო საჭირო, ილ. ჭავჭავაძე არ ეთანხმება,—დამნაშავეა ილ. ჭავჭავაძე. ერთი მითხარით, ვინ მიანიჭა ადამიანს ამისთანა ღვთაებური უფლება, რომ რაც იმანა სთქვა, იმის წინააღმდეგ აღარავის ნება აღარა აქვს სთქვას რამე? არა, ბატონებო, მე თქვენის საფინანსო პოლიტიკის კაცი არა ვარ, იმ საფინანსო პოლიტიკისა, რომელიც ამბობს: ოღონდ საჭიროება გვ ჩვენეთ და მილიონებს მოგცემთო. მე ამისთანა პოლიტიკასთან არაფერი საქმე არა მაქვს. ეს პოლიტიკა-კი არა, შუშხუნაა, რომ ერთს წუთს კაცს თვალებზედ ხელი მიაფარებინოს. მე აქ ვიჯდები გამგეობაში, თუ მანდ თქვენში, ამ პოლიტიკას მთელის ჩემის ძალით და ღონით ომსა და ბრძოლას გავუწევ (საზოგადოებაში ხანგრძლივი ტაშის-ცემა ატყდა.)

მერე მ. მაჩაბელმა დაიწყო ლაპარაკი, სთქვა, რომ დიდად პატივსა ვცემ თ. ჭავჭავაძეს და ამიტომ მეძნელება იმის წინააღმდეგ ლაპარაკი, მაგრამ ბანკია სარგებლობა მაიძულებს, რომ განვუმარტო კრებას თ. ჭავჭავაძის მავნებელი მოქმედება ბანკის საქმეშიო. იგი იმ ბრალსა სდებდა ილ. ჭავჭავაძეს, რომ ხელს არ გასძრავთ, არ ეცდებით კონვერსიის საქმის მოგვარებასაო; ამტკიცებდა, რომ ფინანსთა მინისტრი უეჭველად შეიწყნარებდა თქვენს თხოვნას სესხის გაიაფების შესახებაო, რადგან დიდის თანაგრძნობით მოიხსენია ქართველი თავად-აზნაურობაო, და სხ.

რადგან საზოგადო კრება დაიღალა და აქეთ იქიდგან ხმა გაისმა: გვეყოფა მაგდენი ლაპარაკი, კრება გადავდოთო, თავმჯდომარემ მეორე დღის, 16 მაისის, დილის ათ საათისათვის გადასდო კრება. კრების გადადებამდე მ. მაჩაბელმა ნება აიღო, რაკი დღეს ვერ გავათავე ჩემი სათქმელი, ხვალაც განვაგრძობო.

(შემდეგი იქნება)

## წერილი რედაქციის მიმართ

გურიის სახალხო წიგნთ-საცავს შემოსწირეს ბ ნმა ივანე კაციტაძემ 24 ქართულ-რუსული წიგნი, გიორგი გურიელმა შილლერის თხზულების მეორე ტომი, „მწყემსის“ რედაქციამ გაზეთი „მწყემსი“ მთელის წლით „პასტორი“-თურთ, ისიდორე დოლიძემ 20 ცალი „ფილარეტის ცხოვრება“ და იუსტინე ტაბიძემ ხუთიოდე რუსულ-ქართული წიგნი.

ამხანაგობის სახელით გულითადს მადლობას ვუცხადებ პატივცემულ შემომწირველთ.

ისიდორე რამიშვილი

---

# დეპეშა

16 მაისი

პეტერბურგი. გრიაზე-ცარიცინის რკინის გზას ნება მიეცა, 1888 წ. 14 ივნისის კანონის ძალით, გამოსცხებელ-შემნახველ ოპერაციებისა.

ოდესსა. დღეს დიდის ამბით აკურთხეს ძეგლი შიპკის გმირის, გენერალ-ადიუტანტის რადეცკისა, ოდესის ძველს სასაფლაოზე. კურთხევას დაესწრნენ: სამხედრო და სამოქალაქო მთავრობა, ოდესის ჯარები, მისული სამხედრო დეპუტაციები, წარმომადგენელნი ქალაქისა და მრავალი სხვა ხალხი. ძეგლი აიგო გარდაცვალებულის გმირის ქვრივის ხარჯით.

17 მაისი

პეტერბურგი გუშინ, ნაშუადღევის პირველს საათზე, მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულითურთ გაემგზავრნენ მოსკოვს.

დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე გუშინ კონსტანტინოპოლს მიბრძანდა; დღეს მისმა უმაღლესობამ ინახულა სულთანი და ხვალ საღამოს კვლავ გაემგზავრება ყირიმისკენ.

18 მაისი

პეტერბურგი. სენატმა განაჩინა, რომ უდავოდ გადახდევინების შესახებს საჩივრებზედ სასამართლო გარდასახადი არ უნდა ახდევინონო.

პსკოვის გუბერნიის ერობამ 200 მ. გადასდო გლეხებისთვის სასესხებლად, რომ საქონლის საკვებ ბალახეულობას თესლეულობა იყიდონო.

„Нов. Вр.“-ს დეპეშით აუწყებენ სიმფეროპოლიდგ ნ, რომ სხვაგნიდგან მოსული მუშა აქ 40,000-დეა, ყოველ დღე ახალ-ახალი დასები მოდის და მუშის ფასმა ძლიერ დაიწიაო.

იგივე გაზეთი იუწყება, უმაღლეს დაწესებულებას წარედგინა დასამტკიცებლად კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ რჯულის გარდამავალთ, რომელთაც რამდენიმე დანაშაული ერთად ჰბრალდებათ, სასჯელთ მოემატოთო.

მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ უფრო წესიერი კანონები იქმნას შემოღებული პროვინციებში სანოვაგეთა შენახვისა.

პარიჟი. დეპუტატთა პალატამ დაადგინა სატამოჟნო გარდასახადები. დაუმარილებელის ცხვრის ხორცზე 32 ფრანკი; ძროხის ხორცზე—25 ფრანკი და ღორის ხორცზე—12 ფრანკი და ზოგიერთი ცვლილებაც მოახდინა დამარილებულ ხორცის შემოტანის კანონშიაც.

ბერლინი. ქალაქის ხმოსანთა დღევანდელმა კრებამ 73 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 5 ხმისა, შეიწყნარა შემდეგი წინადადება სოციალ-დემოკრატებისა: რადგან ფასებმა აიწია და მოსავლის იმედიც არ არის, ამიტომ კრება შუამდგომლობს იმპერიის კანცლერის წინაშე, რომ ეხლავე მოსპობილ იქმნას გარდასახადი საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილს პურზე და ახლო მომავალშიც სრულიად აღმოკვეთილი ქალაქის მაგისტრატსაც იწვევს, შემოგვიერთდი ამ შუამდგომლობაშიო.

## პეტერბურგის ბირჟა 14 მაისს

| | მყიდველნი მან. | კ. | გამყიდველნი მან. | კ. | გარიგება მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 | 74 | 6 | 76 | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები | 134½ | | 135½ | | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 | 04 | 1 | 05 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | „ | — | „ | 244 | |
| —მეორისა | — | „ | — | „ | 223 | |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 213 | | — | „ | — | „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 101 | 62 | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | „ | — | „ | „ | — |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამის შორის გზით.

პარასკეობით. დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსსიისკში შესვლით).

შაბათობით. დილით სტამბოლიდამ ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელს გემებს,

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით რაკი გემოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტოდ დასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ფოკვლ-გვირა ფოთში მოდიან გემდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კვლავ გემები.

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარ. თ. სახოკიასი. | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა . . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი გ. ყუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით. . . . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . . . | 1 | „ |
| ყოვლადძლიერი ზეცისა. . . | „ | 50 |
| იძიდათა ცხოვრება . . . | 1 | 20 |
| წგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კატოპრიკი . . . | 1 | „ |
| ბრძ[illegible] . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელოსღვახელო ფრანგული ენისა. ყდით . . | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა. | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე. ყდით. . . . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, ანუ მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა. ყდით. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, ანუ სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით . . | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა. ყდით . . . . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა. | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბინინისა ოცდა შვიდი სურათით . . . . . | 10 | „ |
| Книга Калалаh и Димнаh или сборникъ басенъ известныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рабинина, цѣна . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Белокурова | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Белокурова . . | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . . . | „ | 25 |

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი **ექვსი შაური.**

ვინც ერთბაშად **ნაღდს ფულზე** იყიდის **ოც-და-ათს** ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა **ხუთ შაურად.**

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება **ორი შაური.** ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო-წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ **რვა კაპეიკი.**

„**ბუნების კარი**“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი **თხუთმეტი შაური.**

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა **თოთხმეტ შაურად,** ვინც ოცსა—**ცამეტ შაურად** და ვინც ოც-და-ათს—**სამ აბაზად** ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ **სამი შაური.**

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

«წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელონი, შედგენილნი გოგებაშვილის მიერ

**Русское Слово**, ნაწილი პირველი, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით და რუსული დედანით. ფასი ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Русское Слово**, ნაწილი მეორე, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით; ფასი ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 32 კაპეიკად. ყდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Руководство** для учителей къ преподаванію по Русскому Слову“. ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ორ აბაზად.

საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

„ ურ ბ ე ნ ი“ (LURBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენმა“ 1890 წელს საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს ვადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თ. ჭავჭავაძის სახლში, „სევერნიმ“ გვერდით.

დებარება და პიროების ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(20—17)

## მუშა-კაცნი და მუშა-ქალნი ახალგაზდანი

(14-დან 18 წლამდე)

და აგრეთვე **მთელი სახლობანი**

საჭირონი არიან სამუშაოდ

**წუმწუმის ახალს ფაბრიკაში ვერას იქით**

ფაბრიკასთანვე არის იაფის ფასის სადგომები. (5—3)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვეით . . | 10 მ.—კ. | 6 | თვეით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 „ | 5 | „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 „ | 4 | „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ — „ | 3 | „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 „ | 2 | „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 „ | 1 | „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| 1) „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგმანი თ. სახოკიას-მიერ . . . . | „ | 30 |
| 2) „ცვარი“ საყმაწვილო წიგნი, სურათებით შ. მღვიმელისა | „ | 30 |
| 3) ლენტის მსგავსნი ჭიები ი. თ. . . . . . . . . . | „ | 5 |
| 4) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ღნიაშვილის მიერ წიგნი I. | „ | 30 |
| 5) იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . | „ | 75 |
| 6) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“ თი და ბიოგრაფიით . . . . . . . . . . . . . | „ | 80 |
| 7) იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . . . . | 1 | 25 |
| 8) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . . . | „ | 15 |
| 9) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . . | „ | 25 |
| 10) „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| 11) „წყალობა“ პოემა მისივე. . . . . . . . . | „ | 20 |
| „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა . . . . . . . . . | „ | 40 |
| 12) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ . . . . . . . . | „ | 30 |
| 13) რამდენიმე ლექსი ცახელის. . . . . . . . . | „ | 15 |
| 14) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . . | 1 | „ |
| 15) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . . | „ | 50 |
| 16) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . | „ | 50 |
| 17) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა. . | „ | 60 |
| 18) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა . | „ | 15 |
| 19) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა. | 1 | „ |
| 20) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣишимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა . . . | 3 | 50 |
| 21) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა . . . . | „ | 75 |
| 22) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით . . . . | „ | 80 |
| 23) იგივე უყდო . . . . . . . . . . . . . . | „ | 60 |
| 24) „მიბაძვა ქრისტესი“ წიგნი I და II ყდით . . . . | „ | 70 |
| 25) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა | „ | 20 |
| 26) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა . . | „ | 20 |
| 27) „ძველის დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა | „ | 25 |
| 28) „იავნანამ რა ჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 10 |
| 29) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა . . . . | „ | 20 |
| 30) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა . . . . . | „ | 40 |
| 31) ქანნა—დარკ . . . . . . . . . . . . . | „ | 5 |
| 32) ბერლინის გარემოცვა . . . . . . . . . . | „ | 5 |

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ: *Тифлисъ*. Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“ Лорисъ-Меликовская ул. д. Зубалова.

Доз. Цен. Тифлисъ, 18-го Мая 1891 г. Типографія Я. А. Мансветова, на Лорисъ-Мелик ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.